

# “კალოვანმა სტრუქტურებმა თსუ-ში ბინძური თამაში წამოიწყეს”

“კვირის პალიტრა”, № 16, 18-24 აპრილი, 2016 წელი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა აქციების ერთი ტალღა იმით დასრულდა, რომ უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ რექტორის თანამდებობიდან წასვლა მაისში დააანონსა. თუმცა საზოგადოების ნაწილისთვის ბუნდოვანი დარჩა – რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება რექტორმა და რეალურად, რა დგას უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების უკან. ამ საკითხებზე თსუ-ს ჯერ კიდევ მოქმედი რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა ექსკლუზიურად გვესაუბრება.

– პირველ რიგში, გეტყვით, რომ თავს შევიკავებ ყველა ის ინფორმაცია გავასაჯაროვო, რის შესახებაც დაზუსტებით ვიცი და ამას ერთადერთი მიზნით ვაკეთებ – არ მინდა ჩემი განცხადებებით უნივერსიტეტს იმაზე მეტი ზიანი მივაყენო, რაც სხვადასხვა ჯგუფებმა თსუ-ს წინააღმდეგ უკვე იკადრეს. იმის თქმას კი, ნამდვილად არ მოვერიდები, რომ ყველაფერი სახელმწიფოში დამკვიდრებული მანებლური კოჰაბიტაციის შედეგია – ქვეყანაში განვითარებული პროცესები, როდესაც ვერ გაიგებდი, ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ იყო თუ “ნაციონალური მოძრაობა”, უნივერსიტეტზეც ერთი ერთში აისახა. დიახ, თსუ-ში დაწყებული აქციები მართული იყო იმ ძალების მხრიდან, რომლებიც დღემდე სამთავრობო სტრუქტურებში მყუდროდ არიან მოკალათებულნი.

– **კონკრეტულად რომელ სტრუქტურებზე საუბრობთ?**

– ეს სწორედ ის ინფორმაციაა, რის გასაჯაროებასაც ამ ეტაპზე მოვერიდები. მოვა დრო და ამ ყველაფერზე აუცილებლად ვისაუბრებ. საერთოდ, 2013 წელს უნივერსიტეტში ისტორიული არჩევნები ჩატარდა, რადგან ამ პერიოდში, მართალია პრეზიდენტი სააკაშვილი გახლდათ, მაგრამ სხვადასხვა სტრუქტურები მას აღარ ემორჩილებოდნენ. მეორე მხრივ, „ქართული ოცნება“ ეიფორიაში იყო, ხელისუფლების საშუალო და ქვედა რგოლები კი, ახალ

პატრონს ეძებდნენ და მნიშვნელოვან პროცესებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. სწორედ ამან განაპირობა, რომ უნივერსიტეტში მოსულიყო კაცი, რომელიც დამოუკიდებლად იმოქმედებდა და არანაირ ზეწოლას არასოდეს დავექვემდებარებოდა. მეტიც, მსგავსი ისტორიული არჩევნები უნივერსიტეტში, სამწუხაროდ, მხოლოდ სამჯერ ჩატარდა, პირველად, როდესაც პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს რექტორად, მეორედ – ივანე ჯავახიშვილი, მესამე კი რიგით 28-ე რექტორი, მე აღმოვჩნდი. დანარჩენი რექტორები მხოლოდ სამთავრობო ინტერესებიდან გამომდინარე ინიშნებოდნენ, ან ჯერ ინიშნებიოდნენ და მხოლოდ მერე აირჩეოდნენ.

**– ზეწოლა ახსენეთ. ვის და რა კონკრეტული მოთხოვნები ჰქონდათ თქვენი რექტორობის პერიოდში?**

– ყველაზე მწვავედ ზეწოლა პირველად მაშინ ვიგრძენი, როდესაც შევიტყვე, რომ უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან გაზგასამართი სადგურის აშენება იგეგმებოდა.

**– გაზგასამართ სადგურს ჩინოვნიკები ღობივებდნენ?**

– რა თქმა უნდა, თუმცა ისევ ვიმეორებ, ამაზე მეტს დღეს ვერ ვიტყვი. საერთოდ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის აშენებაზე ოდესმე ლიცენზიას თუ გასცემდა. ვერც იმას დავიჯერებდი, რომ კონკრეტულ ბიზნესს ამ მასშტაბის მხარდაჭერა ექნებოდა. მაშინ გაზგასამართი სადგურის მშენებლობა სტუდენტებმაც გააპროტესტეს და საბედნიეროდ, ეს პროცესი შეჩერდა. მორიგი ზეწოლა კანცლერის არჩევნების წინ დაიწყო, კონკრეტულად ბევრს ვერ ვისაუბრებ, თუმცა ძალოვანმა და სხვა სტრუქტურებმა თსუ-ში რექტორისგან დამოუკიდებელი ბინძური თამაში წამოიწყეს...

**– უნივერსიტეტის რექტორობიდან გადადგომა იმის გამო გაიძულებს, რომ კანცლერის პოსტზე გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირეთ?**

– თანამდებობიდან მხოლოდ ჩემი სურვილის საფუძველზე წამოვედი. ეს ჩემი პირადი გადაწყვეტილება იყო, რადგან პროცესების უარესი სცენარით განვითარება იგეგმებოდა.

**– სტუდენტებს შორის ფიზიკური დაპირისპირების პროვიცირება იგეგმებოდა?**

– ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგანაც თავს შევიკავებ. თუმცა მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, როგორ დაიწყო პროცესები უნივერსიტეტში – სტუდენტების ორი ჯგუფი გაერთიანდა მოთხოვნით, რომ „ოდეერები“ უნივერსიტეტიდან წასულიყვნენ, მოგვიანებით კი ორივე ჯგუფმა ერთდროულად მოითხოვა რექტორის გადადგომა. თუმცა როგორც კი, მე თანამდებობიდან გადადგომა დაუაანონსე, ყველა გაჩუმდა და „ოდეერის“ საკითხიც არავის გახსენებია. აღმოჩნდა, რომ თურმე უნივერსიტეტში ლაღო პაპავას პრობლემა იყო და არა – „ოდეერების“. დასკვნა მარტივია, რომ ეს ჩემ წინააღმდეგ მოწყობილი პროვოკაცია იყო. ისიც კი იკადრეს, რომ სტუდენტების ნაწილი საშიმშილოდ დაესვათ...

**– „ოდეერების“ უნივერსიტეტში არსებობა ხომ რეალურად თქვენც დაადასტურეთ? აქციების დაწყებამდე არ გქონდათ ინფორმაცია, რომ ისინი უნივერსიტეტში იყვნენ?**

– „ოდეერის“ საკითხი ფაქიზი თემაა. ბუნებრივია, შენი ქვეყნის უშიშროების სამსახურს პატივი უნდა სცე, შესაბამისად, დასაძრახი არაფერია იმაში, თუ ვინმე რომელიმე დაწესებულებაში მუშაობს. უბრალოდ, ჩვენი საზოგადოება ჯანსაღი არ არის და ფიქრობს, რომ თუ ადამიანს სახელმწიფო უშიშროების სტრუქტურებში ნამუშევარი აქვს, ეს გამოუსწორებელი ნაკლია. სინამდვილეში, შენი სამშობლოს, მისი სახელმწიფო უშიშროების სამსახურში მუშაობა საამაყოც კი უნდა იყოს... „ოდეერი“ პირობითი დასახელებაა, სინამდვილეში საუბარია უშიშროების თანამშრომლებზე, რომლებიც ამა თუ იმ დაწესებულებაში უშიშროების დავალებით არიან დანიშნულები. კაცმა არ იცის, დღესაც არაოფიციალურად უშიშროების რამდენი წარმომადგენელი მუშაობს ამა თუ იმ დაწესებულებაში, მაგრამ ეს გამართლებულია, თუ ისინი არაჯანსაღ ვითარებას არ იწვევენ. უბრალოდ, ეს თემა ჩემი წასვლისთვის წარმატებით გამოიყენეს. 1926 წელს, ერთი შეხედვით ჩანდა, რომ ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის რექტოროვიდან სტუდენტებმა გააგდეს, რეალურად კი,

სტუდენტების უკან იმდროინდელი უშიშროება – ე.წ. „ენკავედე“ იღვა. სამწუხაროდ, 1926 წელსა და 2016 წელს შორის დიდი მსგავსებაა...

**– თქვენი წასვლის შემდეგ, უნივერსიტეტში პროცესების განვითარება როგორ წარმოგიდგენიათ?**

– პირველ რიგში, ხელისუფლების ინტერესებშია, რომ თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები მშვიდობიანად ჩატარდეს. ამ პოსტზე შვიდი კანდიდატი იყო, თუმცა მათგან ორი – პროფესორები მერაბ ელიაშვილი და ინესა მერაბიშვილი კანდიდატობიდან მოიხსნა ასაკის გამო. როდესაც აკადემიურმა საბჭომ ეს არჩევნები გამოაცხადა, საბჭოს წევრებისათვის ცნობილი იყო, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელზე არ უნდა გავრცელებულიყო ასაკობრივი შეზღუდვა, რაც საბჭოს აცნობა თსუ-ს იურიდიულმა სამსახურმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტთან შეთანხმების შემდეგ. საარჩევნო კომისიამ კი მიიღო ჩემი აზრით არასამართლიანი გადაწყვეტილება და ასაკობრივი ბარიერი გაავრცელა რექტორის მოვალეობის შემსრულებელზეც. რექტორს კი არ გააჩნია რაიმე მექანიზმი ზეგავლენა იქონიოს საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებაზე. ამ სამწუხარო რეალობის გამო პირადად ბოდიშს ვუხდი პროფესორებს მერაბ ელიაშვილსა და ინესა მერაბიშვილს. დარჩენილი ხუთი კანდიდატიდან კიდევ ერთი იმ მიზეზით მოიხსნა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხელმძღვანელობით თანამდებობაზე მუშაობის ორწლიანი სტაჟი არ ჰქონდა. ეს მოთხოვნა კი იმის გამო დააწესა აკადემიურმა საბჭომ, რომ გარდამავალ და, ამის გამო, შედარებით ხანმოკლე პერიოდში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა არ დაკისრებოდა ხელმძღვანელობითი საქმიანობისაგან გამოუცდელ ადამიანს. ამჟამად ოთხი კანდიდატია დარჩენილი, რომელთაგან სამი – პროფესორები ცირა ბარამიძე, ლევან გორდუზიანი და დარეჯან თვალთვალაძე უნივერსიტეტის თანამშრომელია, ერთი კი, ბ-ნი გიორგი ანდრიაძე საპატრიარქოს უნივერსიტეტს წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, ოთხივე კანდიდატს სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობა მოუწევს. სამწუხაროდ, არ ვარ დარწმუნებული, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა დაუშვან ის, რომ 2013

წლისგან განსხვავებით, რექტორის მომავალში გასამართი არჩევნები მათი ჩართულობის გარეშე გაიმართოს...

– სხვათა შორის, ხელისუფლებას „გაზპრომის“ საკითხზეც დაუპირისპირდით. თქვენი „დასჯის“ მიზეზი ესეც გახდა?

– „გაზპრომის“ საკითხს ახლა არ შევხები, თუმცა საკმაოდ ადეკვატური კითხვაა.

რუსუდან შელია